ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 255
პარასკევი 26 ნოემბერი, 1899 წ.

1877—1899

ივერია

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12 . . .	10	—	6 . . .	6	—
11 . . .	9	50	5 . . .	5	50
10 . . .	8	75	4 . . .	4	75
9 . . .	8	—	3 . . .	3	50
8 . . .	7	25	2 . . .	2	75
7 . . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 255
პარასკევი, 26 ნოემბერი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიის
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ახალი ხანა

დღეს ასი წელიწადია, რაც რუსის ჯარმა პირველად შემოსდგა ფეხი საქართველოში სამუდამოდ აქ დასარჩენად. ქვეყანა ჯერ კიდევ დამოუკიდებელი იყო, ქართლ-კახეთის მეფე გიორგი და იმერეთისა სოლომონ ჯერ კიდევ მეფობდნენ. — რუსის ჯარის მოსვლა ნიშნავდა განხორციელებას იმ სურვილისას, რომლითაც დიდის ხნიდამ იყო გამჭვალული საქართველო, და ეს სურვილი იყო მფარველობა. მფარველობას სთხოვდა იგი რუსეთს, მფარველობას ელოდდა მისგან. თოთხმეტი საუკუნე ვებრძოლე ქრისტიანობის მტრებს, მაცხოვრის ჯვარი დღემდე შეურგინებელ მოვიტანე, ურჯულოება მძლევს, მიშველეთ. ეგ იყო ძახილი მწარედ განგმირულისა, რომელსაც, ხმალზედ დაყრდნობილს, ხელიდამ ჯვარი მაინც ვერ გააგდებინეს!

საქართველოს ცხოვრება საოცარი დრამაა კაცობრიობის ისტორიაში. ძვირად თუ იპოვით ქართველებსავით განცალკევებულ და განმარტოებულ ერს. სხვებს გაჭირების ჟამს ან მოკავშირე გაუჩნდებოდა ხოლმე, ან მშველელი; ქართველნი-კი, ეს ერთი მუჭა ერი, ყოველ ამ გვარ ბედნიერებას მოკლებული იყვნენ. — დრო იყო როცა საქართველო ბიზანტიას, აბერძნეთს, საზღვრობდა. ორი ქრისტეს მიერ ძმა საერთო შიშსა და ჭირს უნდა ერთად შეეკრა მტრებთან გასამკლავებლად. მაგრამ წამხდარი და სულით დაცემული საბერძნეთი თითონ ითხოვდა შველას და ქართველთ ჯარებს არა ერთხელ უღვრიათ სისხლი ბიზანტიის შესამაგრებლად. არც ერთი მოძრაობა დასავლეთ აზიაში, ქრისტიანობისა და კულტურის წინააღმდეგი და მავნებელი, საქართველოს არ ასცდენია. არაბთ დიდი ღვაწლი მიუძვის ცივილიზაციისა და კაცობრიობის წინაშე, ამბობენ. შეიძლება, ეგრეც იყოს. მაგრამ იმათ შემოსევას დამცირებისა და დასუსტების მეტი არა მოუტანია რა ჩვენთვის. ჩინგის ყაენის თათრები, სელჯუკები, ოსმალნი, ლანგ თემურის ურდოები და მერე შაჰაბაზის და მის მემკვიდრეთა სპარსნი და ყიზილბაშნი — ყველას საქართველოსაკენ ეჭირა თვალი, ყველანი საქართველოს ეხარბებოდნენ, რადგანაც გრძნობდნენ, თუ რა დიდი ფასი აქვს ამ პატარა ქვეყანას, ვითარცა ხიდს, ევროპისა და აზიის შუა გადებულს. ახლო მეზობელნი ლეკნი ხომ მოსვენებას არ აძლევდნენ ქვეყანას. მთელს აღმოსავლეთში მეთუთხმეტე საუკუნიდგან დაწყებული საქართველო იყო ერთად ერთი ქრისტეს მოსავი სახელმწიფო, რომელიც მაცხოვრის სახელით იბრძოდა, რომელიც იყო ქრისტიანობის დარაჯი, — დარაჯი ფხიზელი, მამაცი, თავგანწირული და ბევრჯელ მტერთა თავზარის დამცემი. — ოციოდე წელიწადსაც ვერ გვაჩვენებს ჩვენი ხანგრძლივ წამებულ ცხოვრების ისტორია, რომლის განმავლობაში განუწყვეტლივ, ზედ მიყოლებით, მშვიდობიანობა ყოფილიყოს და ერი უშიშრად მისცემოდეს ოჯახობრივ შრომას, შინაგან ცხოვრების განკარგებას. საკვირველია, ჭეშმარიტად! ამ მდგომარეობაში მყოფ ერს მაინც იმოდენი სულიერი და ზნეობრივი ძალი თან დაჰყოლია, რომ არათუ მეცხრამეტე საუკუნემდე თავისი სახელმწიფო შეუმაგრებია, არამედ გონებრივადაც უცხოვრია და ამ გონებრივ ცხოვრების შედეგი არის მშვენიერი ქართული პოეზია, მდიდარი სასულიერო მწერლობა, ისტორიული ნაწერები და მრავალ სხვა-და სხვა ერთა მწერლობიდგან ნათარგმანები და გადმოღებული. მისის ზნეობრივისა და ქონებრივის სიმაგრის საბუთია აგრეთვე მრავალი ტაძარი და ნაშთები, რომლითაც მოფენილია აწინდელი საქართველო აჭარითა და ჭანეთითურთ ტრაპიზონამდე. ვიმეორებ, დიდის სულისა და გულის პატრონი უნდა ყოფილიყოს ერი, რომ თავი ასე შეემაგრებინოს, როგორც შეიმაგრა ქართველებმა და არც იმ დროინდელ მსოფლიო გონებრივ ცხოვრებას უკან ჩამორჩენოდეს. გარნა დროთა ვითარება ისეთი იყო, რომ ჩვენის ქვეყნის თვითმყოფელობას საზღვარი დაედო. ცოტა ხანმა განვლო, რაც მოწინავე რაზმი რუსის ჯარისა ქალაქში შემოვიდა, და საქართველო რუსეთის მფარველობას მიეცა; მან ჯვარიცა და ხმალიც თავის ქრისტეს მიერ ძმას ჩააბარა, აწ შენ იცი და შენმა სულგრძელებამაო. ასე გათავდა ძველი ხანა და დადგა ახალი.

საქართველოს შეერთებამ რუსეთის გარეშე პოლიტიკას სულ ახალი მიმართულება მისცა. აქ ფეხის მომაგრებამ რუსეთს მთიბი დაამორჩილებინა და მერე შუაგულ აზიისაკენ მიაპყრობინა ყურადღება; შუაგულ აზიამ იარაღი დაჰყარა, და ამ სახით რუსეთი ინდოეთს დაუახლოვდა, დამცირებული სპარსეთი თავის გავლენის ქვეშ მოიყოლია. ადრე თუ გვიან რუსეთი ინდოეთის ოკეანეს ნაპირზე დაამკვიდრებს თავისს ძლევა-მოსილ დროშას.

ეგრე აღასრულა საქართველომ თავისი ისტორიული დანიშნულება.

აწ მის ცხოვრების საგანი, მისი საწადელი და საზრუნველი მხოლოდ შინაური მშვიდობიანი გარჯა და მხნეობაა, გონებრივი განკარგება, ქონებრივი განდიდება. თოთხმეტი საუკუნე იბრძოლეს ქართველებმა, რომ დაეხსნათ სარწმუნოება, შეერჩინათ ენა, შეემაგრებინათ ეროვნობა. ამ სამსავე საუნჯეს ძლევა-მოსილი მფარველი გაუჩნდა და ეს მფარველი დიდებული რუსეთია, მისნი ძლიერნი და სულგრძელნი ხელმწიფენი, რომელთა მრავალი, უხვი წყალობა მოიღეს წამებულ და რაინდულ ქართველ ერზე.

კვლავაც მრავალ კეთილს მოელის ერთგული საქართველო თავისის გვირგვინოსან მფარველთაგან.

ვლადიმერ მიქელაძე

ახალი ამბავი

⁂ დღეს, 26 ნოემბერს, ასი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც საქართველოში რუსეთის ჯარი შემოვიდა.

⁂ ტფილისის გუბერნატორმა შეატყობინა ქალაქის მოურავს, რომ

ფელეტონი

ასის წლის წინად

(პირველად შემოსვლა რუსის ჯარისა ტფილისში)

11-ს იანვარს 1798 წელს თელავში გადაიცვალა ღრმად მოხუცებული სახელოვანი მეფე ერეკლე. საქართველოს სამეფო ტახტზედ ავიდა მისი უფროსი შვილი გიორგი. საქართველო, დამარცხებული აღა-მაჰმედ ხანისაგან მეფე ერეკლეს სიცოცხლეშივე, ჯერ კიდევ ვერ იყო გამობრუნებული. ტფილისი, ეს ჩვენი სატახტო დედა-ქალაქი, აკლებული და აოხრებული, ჯერ კიდევ რაღაც დარღვეულსა და დანგრეულს ქვეყანას წარმოადგენდა. ჯერ გამთელებული არ იყო იგი საშინელი წყლული და ჭრილობა, რომელიც აწვია ჩვენს ქვეყანას აღა-მაჰმედ ხანის უწყალო და შეუბრალებელ ხელითა. ჯერ კიდევ გამოგლოვებულნი არ იყვნენ დახოცვილნი და გაჟლეტილნი დიდი, თუ პატარა, ქალი, თუ ვაჟი სისხლის მსმელ სპარსთა ყეენისაგან.

დასუსტებული საქართველო, რომელსაც მეფე ერეკლეს სიკვდილით „რკინის კარი შეესხნა“, უფრო კარღია შეექმნა და ადვილი საცილოებელი გაუხდა გარს შემორტყმულ მტრებს. ცალკე სპარსეთი, ცალკე ოსმალეთი ხმალ-ამოღებულნი თავს ადგნენ დამარცხებულს საქართველოს და მუქარას მუქარაზე უთვლიდნენ. სპარსეთი უწყრებოდა საქართველოს, რატომ ჩემთან არ იჭერ საქმეს და ჩემს მფარველობას ქვეშ არ ეძიებ შენს დღეგრძელობას და კეთილდღეობასო. ამასვე უწყრებოდა ოსმალეთი და ახალციხიდამ მოსვენებას არ აძლევდა ქართლსა. ერთი სახელმწიფოც და მეორეც თავისათვის მოელოდდა საქართველოს. ერთსაც და მეორესაც ჰსურდათ საქართველო, თუ ხმლით არა, მფარველობის სახით მაინც ხელთ ეგდოთ, თავისი საკუთარი ჯარები შიგ ჩაეყენებინათ და მით მაგრა მოეკიდნათ აქ ფეხი. გაძლიერება რუსეთისა, რომელმაც მაშინ საქართველოს საზღვრებამდე მოაწია ჩრდილოეთის მხრით, ერთსაც თავ-ზარსა სცემდა და მეორესაც. ფეხის შემოდგმა რუსეთისა საქართველოში და მათი აბრუს გატეხა და თითქმის დატყვევება დასავლეთ და მცირე აზიაში ერთი იყო.

როგორც სპარსეთმა, ისეც ოსმალეთმა კარგად იცოდა, რა დიდი საქმეა საქართველოს ხელში ჩაგდება მისთვის, ვინც დაასწრობს. ვინც საქართველოში ფეხს მოიმაგრებდა, იგი დიდს ზედ-მოქმედებას იქონიებდა მთელს დასავლეთს და მცირე აზიაში და სვე-ბედი აზიის შესახებ პოლიტიკისა ხელთ ჩაუვარდებოდა სხვათა შეუხუთავად. გარდა ამისა არც სპარსეთს უნდოდა, რომ საქართველოს დაჭერით ვინმე სხვა სახელმწიფო ახლო მოსვლოდა, არც ოსმალეთს, რადგანაც საქართველო ამ ორსავე სახელმწიფოს საზღვრად და გზად ედვა; თუმცა რუსეთისაგან შიშს ეს ორივე სახელმწიფო ერთად უნდა ემოქმედებინა, მაგრამ ასე არ მოუხდათ. სპარსეთს უნდოდა მარტოს სჭეროდა საქართველო, ჯერ ვითარცა კარი რუსეთიდამ აზიაში შემოსევისათვის დასაკეტი და მერმე ვითარცა გზა ოსმალეთის შესალახველი. ამასვე ჰლამოდა ოსმალეთი და სპარსეთს არ ანებებდა საქართველოს დაჭერას, თვით სწყუროდა ეს კარი და გზა თვითონ ჰქონებიყო და სპარსეთისათვის მუქარად ხელთა სჭეროდა. აზიაში ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთს ეცილებოდა პირველობასა და ბატონობას და ამიტომ ერთმანეთზე ალურსებული იყვნენ და ერთმანეთს შორს უდგნენ.

ეს ორ-მხრიული მტრობა საქართველოსათვის ახალი ამბავი არ იყო. თუმცა დიდი ხანია ცალკე სპარსეთი, ცალკე ოსმალეთი ამ აზრით ეტანებოდნენ ჩვენს ქვეყანასა, მაგრამ საქართველო ასე თუ ისე როგორც იყო იგერიებდა ერთსაც და მეორესაც და არც ერთს არ ჰნებდებოდა. წინად ბევრჯელ აოხრეს საქართველო, ბევრჯელ მიანგრ-მოანგრიეს, ჩამოათალეს სანაპირო ქვეყნები, ხოლო გული-კი ვერ შეუნგრიეს. საქართველო იბრძოდა, ჯვარს ეცმოდა და გულს-კი არ იტეხდა. ამ ტანჯვა-წამებით მოაწია ამ პატარა ქვეყანამ, ამ ერთმა მუჭა ერმა მეთვრამეტე საუკუნის დასასრულამდე. შეირჩინა რჯული, ენა, თავისი ეროვნული ვინაობა და თავისი ქვეყანა. როცა გაძლიერებულმა რუსეთმა ფეხი მოაბჯინა ჩრდილო-კავკასიის მთებს და წამებულმა საქართველომ რუსეთისაკენ მიიხედა და გული მიიბრუნა, მაშინ უფრო გაუმძვინვარდნენ მტრები და ნამეტნავად სპარსეთი. აღა-მაჰმედ ხანის მოსევა და თავ-დასხმა 1795 წ. რუსეთთან საუბარის გამართვამ გამოიწვია და ოსმალოც ამ მიზეზმავე თავს წამოგვაყენა და ერთიც და მეორეც, თუმცა ცალ-ცალკე-კი, უფრო მეტის მძვინვარებით მოგვისია.

გულ-კეთილი, მაგრამ სუსტი მეფე გიორგი როგორ გაუძლებდა ამისთანა გარემოებას და როგორ გაუძღვებოდა გაჭირვებულს სამეფოს, რომელიც აღა-მაჰმედ-ხანის აოხრებისაგან ჯერ კიდევ არ გამობრუნებულიყო, არ გამორკვეულიყო და წყლული არ გამთელებოდა. ამას დაურთეთ ის ამბავიც, რომ ლეკნიც-კი გაუთამამდნენ ულონოდ ქმნილს მეფეს და ახალ-ციხის ფაშის წაქეზებით ხან აქ იკლებდნენ ქვეყანას, ხან იქ. გარდა ამისა შინ, მეფის სახლობაშიაც, ყველაფერი აწეწილი და აშლილი იყო. ცალკე ქვრივი დედოფალი დარეჯანი, ცალკე ძმები აეშალნენ, ყველანი თავისს თავისაკენ იწევდნენ და მეფეს ეურჩებოდნენ. სამეფოს სვე-ბედი ხელში სათამაშოდ გაიხადეს და საწყალ მეფე გიორგის რა უნდა ექმნა ასეთს მდგომარეობაში: გარეთ მტრისათვის გაეცა პასუხი, თუ შინ გასძღოლოდა შუღლსა და კილებას დედინაცვლისას და ძმებისას. ყოველ ამას შავი ჭირიც დაერთო და მთელი ქვეყანა შეაძრწუნა და სასოწარკვეთილებას მისცა. თვითეული ზემოხსენებული უბედურება ცალკე საკმაო იყო, რომ მეფე და სამეფო განწირულებაში ჩავარდნილიყო და სულ ერთად ხომ ზედ-მოსეული ერთ დიდ და უძლეველ უბედურებად შეიქმნა.

იქმნება მეფე გიორგი შინაურს არეულობასა და უბედურობას კიდევ როგორმე გასძღოლოდა, თუ გარედამ მტრის შიში მაინც არა ჰქონოდა. მაშინ აღა-მაჰმედ ხანი ცოცხალი აღარ იყო და მის მაგიერ სპარსეთის ტახტი დაიჭირა ბაბა ხანმა. ბაბა-ხანი შუშისა და განჯის ხანებს ზედ მისეოდა, მათის სახანოების დაპყრობა უნდოდა და მერე აპირობდა საქართველოს თავს დასხმოდა, ოსმალეთიც ახალციხიდამ იმუქრებოდა.

სხვა გზა არ იყო, მეფე გიორგის ან ოსმალეთთან უნდა დაეჭირა საქმე, ან სპარსეთთან და ან რუსეთთან, რომ როგორმე გადაერჩინა საქართველო ამოდენ ერთად ზედ-მოსეულ უბედურებისაგან. ამ საქმეს აჩქარება უნდოდა. ღვთის-მოსავმა და ღვთის მოყვარე მეფე გიორგიმ, რა თქმა უნდა, ერთ მორწმუნე რუსეთი ირჩია. ამას ეუბნებოდა წინაპართა ანდერძიცა, რადგანაც მისდა მეფობის წინადაც, ჯერ კიდევ 1576 წლიდგან, საქართველოს მეფენი ბევრჯელ გამოჰლაპარაკებიან რუსეთს და მისგან ხელშეწყობას და ხელის გამართვას მოჰლოდებიან. ქრისტეს ჯვარისათვის ჯვარცმულ ერის მეფემ ქრისტეს ჯვარისვე მოსავი ერი მოიწვია საშველად და მფარველად.

მეფე გიორგიმ აღარ დააგვიანა საქმე, მას უკვე გაგზავნილი ჰყავნდა პეტერბურგში რწმუნებული მოციქული თ. გარსევან ჭავჭავაძე, რათა აუწყოს იმპერატორს პავლე პირველს

ვიდრე უსახელო საზოგადოების წინადადებანი ცხე"ის რკინის გზის კონცესიის შესახებ განხილულ იქმნებოდეს, საჭიროა ამ საზოგადოების წარმომადგენელმა რომიმ ფორმალურად გამოაცხადოს თვისი თანხმობა კონცესიის მიღების შესახებაო.

⁂ 24 ნოემბერს ხელმეორედ გაემგზავრა ყარსის რკინის გზაზედ ის კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს ამ გზის ჩაბარების საქმე.

⁂ როგორც ვუწყით, ამ დღეებში დეპეშამ ამბავი მოიტანა, რომ მოსკოვის უნივერსიტეტიდგან დათხოვნას უპირებენ 486 სტუდენტს სწავლის გარდასახადის შეუტანლობის გამო. სტუდენტების სასარგებლოდ შეწირული ფული სულ დახარჯულა და ერთად-ერთი იმედი კერძო ქველ-მოქმედება-ღა დარჩენილა. ამ ჟამად ზოგიერთის გაზეთების რედაქციები უკვე შეუდგნენ შეწირულებათა შეგროვებას სტუდენტების სასარგებლოდ. სხვათა შორის, „ტფ. ფურც.“-ს ამ დღეებში 163 მან. და 65 კაპ. მოუგროვებია ამ აზრით. იმედია, ჩვენი საზოგადოებაც თანაგრძნობას აღმოუჩენს სტუდენტებს და არ დაიშურებს თავისს წვლილს მათ სასარგებლოდ.

⁂ 20 ნოემბერს თელავში დაიწყო კრება კახეთის მევენახეთა და მეღვინეთა. კრებაზედ აუარებელი ხალხი ჩამოსულა სიღნაღისა და თელავის მაზრიდგან. ბევრი ტფილისიდგანაც ჩასულა. კრების დაწყებისას ადგილობრივ სამღვდელოებას პარაკლისი გადაუხდია. შემდეგ თავმჯდომარეს კრებისას სასოფლო მეურნეობის ინსპექტორს ვ. ნ. გევესკის სიტყვა წარმოუთქვამს და წაუკითხნია კრების პროგრამმა. კრება სამ სექციათ არის გაყოფილი. პირველ სექციის თავმჯდომარედ აურჩევიათ თ. ი. ი. შალიკაშვილი, მდივნებად მ. ვერმიშევი და ნ. გოზალოვი; მეორე სექციის თავმჯდომარედ—ვ. ა. სტაროსელსკი, მდივნებად—ი. ა. სტაროსელსკი და თავ. ა. რ. ვახვახიშვილი; მესამე სექციის თავმჯდომარედ—თავ. ლ. გ. ჯანდიერი, ხოლო მდივნებად ვ. პეროვი და ბ-ნი ტიმოფეევი. სულ 15 მოხსენება შეუტანიათ წასაკითხად, ზოგი შემდეგაც იქმნება შეტანილი. კრების დადგენილებით დეპეშები გაუგზავნიათ მიწად-მოქმედების მინისტრისა, იმის რწმუნებულის ი. ს. მედვედევისა და საფილოქსერო კომიტეტისათვის. თავისს მხრივ კრებას მიუღია დეპეშა ჟურნალ „Вѣст. Винод.“-ის რედაქციისაგან. („ტფ. ფურც.“).

⁂ განზრახვა აქვთ მკურნალთა რიცხვი გაამრავლონ ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში, რომელიც გაფართოებულ იქმნა.

⁂ ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოების კრებამ დაადგინა: შუამდგომლობა აღიძრას საქართველოს ექსარხოსის წინაშე იმის შესახებ, რომ დაარსდეს საეპარქიო საქალებო სასწავლებელში სტიპენდია მისის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის სახელობაზედ; ამასთან სანთლის ქარხნის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რომელიც შეადგენს ამ სასწავლებლისა და სხვა სასულიერო სასწავლებელთა ერთად-ერთ შესანახ წყაროს, გარდაეცეს ეს ქარხანა სამღვდელოების უწყებას იმავე პირობებით, როგორც რუსეთში არსებობს ასეთი ქარხნები.

⁂ დეპეშების გზავნა ტფილისიდგან ბათუმსა და ქუთაისში 24 ნოემბერს ხელ-მეორედ შესწყდა. შეწყვეტილია დეპეშების გზავნა აგრეთვე ტფილისსა და გორს შუა, ქარისაგან მავთულების დაზიანების გამო.

⁂ საუფლისწულო უწყების წარმომადგენელს მოლაპარაკება აღუძრავს ქალაქთან ს. ნატახტარიდგან წყლის მილის გამოყვანის შესახებ. ეს უწყება თანახმა არის თვისის ხარჯით გამოიყვანოს წყლის მილი ავჭალის ქალაქის მილების ქვედა აუზამდე, ხოლო იქიდგან-კი წყალი ორთქლის ძალით შემოვა ქალაქში. ყოველივე ხარჯი ქალაქს განსაზღვრულ ვადაზედ შეუძლიან გარდაიხადოს და ოთხი პროცენტი აძლიოს.

⁂ ქალაქის გამგეობამ საგუბერნიო მთავრობას წარუდგინა საბჭოს დადგენილება და საქმეთა წარმოება ხმოსნის თავ. ნ. ზ. თუმანოვის სამართალში მიცემის შესახებ, რომელსაც ჰბრალდება დაფასების ქაღალდებში სიყალბის ჩადენა.

⁂ ტფილისის გუბერნიის საერო სასწავლებელთა ინსპეკტორმა შეატყობინა საგუბერნიო მთავრობას, რომ ქ. თელავში სომეხთა სამრევლო სკოლებისათვის აგებული შენობა, უმაღლესის ბრძანების ძალით სამოსწავლო უწყებას უნდა გარდასცემოდა, მაგრამ დეკანოზმა ტერ-გევორქ ტერ-სარქისოვმა უარი განაცხადა გადასცეს, იმ მიზეზით, რომ ამ საგნის შესახებ არავითარი ბრძანება არ მომსვლია ჩემის სასულიერო მთავრობისაგან. ამ საქმის გამო შეკრებილ ცნობებიდგან სნს, რომ სომეხთა ტაძრის მახლობლად, რომელიც საქართველოს ფეეთა ციხესთან სდგას, იყო ცალიერი ადგილი; თელავის სომხებმა ევიინთის ნებით შემოღობეს ეს ადგილი და შემდეგ კი ერთი ერთს შორის მოკრებილ შეწირულებით იგ შენობა ააგეს. თავდაპირველად ამ შენობაში მლოცველები დგებოდნენ, ხოლო შემდეგში კი იგ სასკოლო სადგომად გახადეს. როგორც ამ შენობისა, ისე ადგილის შესახებ არავის საბუთის ქაღალდი არა აქვს. ამ ჟამად ეს საქმე მთავარმართებელს გარდაეცა გარდასაწყვეტად.

⁂ გორის მაზრის სოფ. ქვენატკოცას საზოგადოებამ იკისრა ადგილის და მასალების შეძენა და მუშების დაქირავება ამ სოფელში არსებულ სამრევლო სკოლისათვის შენობის ასაგებად; ხოლო ოსტატთა დასაქირავებლად კი საზოგადოება შუამდგომლობდა, რომ საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს მისთვის 300 მან. მიეცა. ეს შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა.

⁂ ლანჩხუთი. ლამის არის ტალახში ჩავიხრჩვეთ ლანჩხუთლები. თუ ცოტა წამოწვიმა, მუხლამდე ლაფში უნდა იაროს კაცმა. ისეთ ქუჩას ვერ შეხვდებით, რომ გასვლა შეიძლებოდეს; სულ ტალახი და ტალახი. მერმე სულ ხუთი მუშაა საჭირო, რომ ერთს დღეს მშვენივრად მოიკენჭოს აქაური ქუჩები. გარდა ამისა, აქ საზოგადოდ დიდი უსუფთაობა არის. ისე კაცი ვერ გაივლის, რომ ცხვირზედ ხელი მოჭერა არ დასჭირდეს. ვერ გაგვიგია სახიტარები მაინც რატომ არ აქცევენ ყურადღებას ამ გარემოებას!

⁂ რადგან ზვავებისა და ნამქერების გამო საქართველოს სამხედრო გზაზედ მიმოსვლა შესწყდა, ეს ორი დღეა რუსეთის ფოსტა აღარ მოსულა ტფილისში.

⁂ სოფ. წილკანი. 15 გიორგობისთვეს ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა ჩვენს სოფელში: ღამის 9 საათზედ ვიღაც ბოროტმა კაცმა წაუკიდა ცეცხლი აქაურ მცხოვრებელს ვანო ლაშაურის საბძელს. საშინელი ქარი იყო. ქარს შორს გაჰქონდა ცეცხლი და მოშორებით ბევრს საბძლებსა და სახლებს წაეკიდა. ხალხი ძალიან შეშინდა და წივილ-კივილი შორს გაისმოდა: „გვიშველეთ, გვიშველეთ, ვიწვებითო!“ მაგრამ ძალიან ყოჩაღად მოიქცნენ აქაური ბიჭები; დაურიდებლად შედიოდნენ ანთებულს ცეცხლში და უვნებლად გადაარჩინეს სოფელი. ცეცხლი მალე ჩააქრეს საბძლებსა და სახლებზე; დაიწვა მხოლოდ ვანო ლაშაურის საბძელი, ბზე, თივა და ფუჩეჩი. ზარალი სულ 50 თუმნამდეა. მადლობა აქაურს ახალგაზდობას ამისთანა გულადობისთვის, თორემ, თუ არა ამათი გამბედაობა, დღეს ბევრი იქნებოდა გადაბუგული.

წარსულ წლის ენკენისთვეში დაარსდა აქ სკოლა და სოფლელები დიდის სიამოვნებით მიეგებნენ ამ ამბავს. დროებით ასწავლიდა ბავშვებს მედავითნე, რომელიც თავის ვალდებულობას ვერ სცდებოდა, ამიტომ ბავშვები ისევ უკან ბრუნდებოდნენ წიგნებით ხელში. წრეულს-კი დაწყეს მასწავლებლად ნ.—ო. ჟ—ე. სკოლაში სწავლობს 60 ბავშვი.

ჩვენკენ ძალიან ცუდი ამინდებია; 14 ნოემბერს დაიწყო თოვლი და დღევანდლამდე არ შეწყვეტილა; ქარიც ჰქრის.

⁂ დ. სამტრედია. ქ-ნებმა ბიკოვისამ და მერგასოვისამ და ბ-ნმა ანჯაფარიძემ აქ ააგეს სახლები აბრეშუმის ძაფის ამოსალებ და საქსოვ ქარხნისთვის.

პოლიციის ბოქაულის ბ-ნ მახარაძისაგან მოწვეულმა კრებამ (5 ნოემბერს) დაადგინა გაუქმებულ იქმნას წინად დადგენილება ხის ეკკლესიის აშენების შესახებ და აშენდეს ქვითკირის ეკკლესიაო. ეს განაჩენი უკვე წარდგენილია დასამტკიცებლად, სადაც ჯერ არს.

თავისი სამეფო ტახტზე ასვლა და საქართველოში გამეფება. მეფე გიორგიმ 11-ს ოქტომბერს 1798 წ. ზედ მიადევნა თხოვნა იმპერატორ პავლესათვის მისართმევად. თვითონ გარსევან ჭავჭავაძე წარსდგა იმპერატორის წინაშე და მოახსენა: „დიდო იმპერატორო, მფარველო და შემწეო ქართლ-კახეთის სამეფოთაო! მოგართმევ-რა თხოვნას, მე, უერთგულესი ქვეშევრდომი თქვენის იმპერატორობის დიდებულებისა, ღირს ვიქმენ ჩემთა მეფისა გიორგი ერეკლეს ძისაგან და ყოველთა მისდა სამფლობელო ერთაგან დავემხო ფეხთა ქვეშე თქვენის იმპერატორების დიდებულებისა და ჩემდა მოვალეობისამებრ გავბედო გთხოვოთ ბედნიერ ჰყოთ ხელმწიფე ჩემი და დაუმტკიცოთ მეფობა საქართველოსი, როგორც კანონიერს მემკვიდრესა, შეჰმოსოთ სამეფო ნიშნებითა და განაგრძოთ მისდა და მისთა ერთადმი თქვენი მოწყალება. მიიღეთ ეს ჩემ მიერ მორთმეული თხოვნანი და ღირსჰყავით თქვენის დიდებულების ყურადღებისა“.

შემდეგ თ. გარსევან ჭავჭავაძეს მეფე გიორგიმ დაავალა წარუდგინოს იმპერატორს მეორე თხოვნაც—შესახებ იმისა, რომ მემკვიდრედ დაუმტკიცოს დავით ბატონიშვილი და შემდეგისათვისაც აღთქმულ იქმნას, რომ შთამომავალნი ჩემნი საუკუნოდ და შეურყევლად მეფობდნენ საქართველოში და არავინ სხვა არ ერეოდეს ჩემს შინაურ საქმეთა განკარგულებაში და როგორც ჩემთა თავად-აზნაურებთან, ისეც სხვა ქვეშევრდომებთან საქმე არავის არა ჰქონდეს-რაო. ამასთან მეფე გიორგი აუწყებდა იმპერატორს პავლეს, რომ წინაპარნი ჩემნი ყოველთვის ერთგულნი იყვნენ რუსეთისა და მეც ჩემის მხრით აღთქმასა ვსდებ, რომ ქვეშევრდომობის ერთგულებაში მე ჩემს წინაპრებს აღვემატოვო, და ითხოვდა ნება მიბოძეთ მიწერ-მოწერა პირდაპირ პეტერბურგთან ვიქონიო ჩემის მინისტრის თ. ჭავჭავაძის საშუალებითაო, რადგანაც სხვა გზით საქმეთა სვლა ყოვნდება და გვიანდებაო. მეფე გიორგი სთხოვდა იმპერატორს პავლეს სამი ათას რუსის ჯარის-კაცს, შეჭურვილს სათანადო იარაღით და ყოველ სამხედრო კუთვნილებითა. ამის თაობაზე გიორგი მეფე სწერდა იმპერატორს პავლეს: „როცა თქვენი ძლევა-მოსილი ჯარი საქართველოში ყოფილა, ყოველთვის ბოროტნი კაცნი რაღაცეებს იგონებდნენ და სამდურავს და შუღლს აჩენდნენ თქვენისა და ჩვენის ჯარის უფროსთა შორის, ამიტომ გთხოვთ უბძანოთ აქ გამოსაგზავნ ჯარის უფროსს მარტო ჩემთან იქონიოს საქმე, ანუ ჩემ მიერ რწმუნებულთანო“. დასასრულ მეფე მოახსენებდა იმპერატორს პავლეს, რომ ჯერ ჩემ ყმაწვილობაშივე მსურდა პირად ხილვა რუსეთის თვით-მპყრობელისა, მაგრამ მრავალი გარემოება მიშლიდაო. „დღეს-კი, ამბობს მეფე გიორგი, თქვენა გზადით ჩემდა ხელმწიფედ და ვსასოებ, რომ თქვენდა მიმართ გამოწვდილნი ხელნი ჩემნი უკუ-ქცეულ არ იქმნებიანო“.

მინამ თ. გარსევან ჭავჭავაძე თავისს მოციქულობას აასრულებდა და დრო ამ მიწერ-მოწერაში გადიოდა, მეფე გიორგის დღე და დღე უფრო და უფრო უჭირდებოდა საქმე. ლეკები სადავლოდ დაუსჯელად ჰთარეშობდნენ, ახალციხის ფაშა ქართლს წამ და უწუმ შეესეოდა ხოლმე და იკლებდა, საცა-კი ხელი მიუწვდებოდა. მართალია, იმპერატორმა პავლემ უბძანა თავისს ელჩს სტამბოლში, რომ სთხოვოს სულთანს არ აწიოკოს საქართველო, მაგრამ ახალციხის ფაშა მაინც თავისას არ იშლიდა და ლეკებსაც გზას აძლევდა და ხელს უმართავდა სადავლოდ საქართველოში ეთარეშნათ. არც სპარსეთის მუქარა და მტრობა ასვენებდა საქართველოს. ასეთმა გარემოებამ დიდს საფიქრებელში ჩააგდო მეფე გიორგი მით უფრო, რომ რუსეთიდამ ჯერ გარდაწყვეტილი არა იცოდა-რა. სხვა გზა არ იყო, უნდა აეჩქარებინა თ. გარსევან ჭავჭავაძე, რომ საქმე მალე გაათავოს და ჯარი რუსეთისა მოაშველოს და ამასთან სთხოვოს, რომ მეფეს ნება მიეცეს თვითონ ამოქმედოს ჯარი იქ, საცა საჭიროება მოითხოვს.

იმპერატორმა პავლემ მოისმინა-რა გაჭირება მეფე გიორგისა და საქართველოსი, და იუწყა რა ახალი მუქარა სპარსეთისა, აწიოკება ქვეყნისა ოსმალეთისა და ლეკთა თარეშობისაგან, მსწრაფლ შეუდგა, რომ მეფე გიორგის გადაწყვეტილი პასუხი მისცეს. 23 თებერვალს 1799 წელს ბძანება მისცა ჩრდილო-კავკასიის ჯარის მთავარმმართველს მოამზადოს საქართველოში წასასვლელად მეჩვიდმეტე ეგერის პოლკი გენერალ-მაიორ ლაზარევისა თავისის არტილერიით და ასი ცხენოსანი ყაზახი ზედ დაუმატოს. ეს ეგერის პოლკი იდგა მაშინ მოზდოკში.

საჭიროა ვიცოდეთ, რომ ჯერ კიდევ 1783 წელს მეფე ერეკლესთან შეკრულ პირობის ძალით საქართველოს მეფის კარზე რუსეთს უნდა ჰყოლოდა განსაკუთრებული რწმუნებული მინისტრი. 1799 წლამდე სხვა-და-სხვა გარემოების გამო ეს პირობა შეუსრულებელი დარჩა და იმპერატორმა პავლემ, თ. გარსევან ჭავჭავაძის თხოვნით, გააღვიძა ეს პირობა და რწმუნებულ მინისტრად დანიშნა სტატსკი სოვეტნიკი კავალენსკი, რომელსაც, სხვათა შორის, ებძანა, რომ საქართველოს ერის სიყვარული და ნდობა მოიპოვეო.

1799 წ. მაისში კავალენსკი წამოვიდა პეტერბურგიდამ და მკათათვის ბოლოს მოვიდა ყაზახის სოფელს ნაურში, საცა იმყოფებოდა კნორრინგი, მაშინდელი მთავარ-მართველი ჩრდილო კავკასიის ჯარებისა. აქედამ კავალენსკიმ აუწყა მეფე გიორგის, რომ მოდის საქართველოში და თან მოჰყავს დაპირებული ჯარი. კნორრინგმა თავისის მხრივ ბრძანება მისცა ლაზარევს მზად იყავ შენის პოლკით და არტილლერიით საქართველოში წასასვლელად, მოიმზადე ათის დღის სურსათი, რომ როცა საჭირო იქმნეს, ერთის საათითაც არ დაყოვნდეო.

კავალენსკის გამოატანა იმპერატორმა პავლემ დამამტკიცებელი გრამოტა მეფე გიორგის სახელზე. გრამოტა იგი არის დაწერილი 18 აპრილს 1799 წ. იმპერატორი პავლე იწერებოდა: „მივიღე რა მადლობით თქვენი თხოვნა, ტრაქტატის მესამე მუხლის ძალითა გამტკიცებთ დღეს თქვენ საქართველოს მეფედ და ძესა თქვენსა დავითს თქვენდა მემკვიდრედ თქვენს შემდეგ“. ამასთან იმპერატორმა პავლემ გამოატანა კავალენსკის სამეფო სამკაულები და სამეფო ნიშნები: 1) ოქროს სამეფო გვირგვინი შიგა და შიგ ძვირფასის თვლებით შემკული; 2) სკიპტრა, ძვირფასის ქვებითვე მოჭედილი; 3) ხმალი ოქროთი და ძვირფასის თვლებით შემოსილი; 4) სამეფო პორფირი ყარყუმის ბეწვისა, შვინდის ფერ ხავერდის საპირეთი, მასზედ ქარგით ნაკერი ღერბი რუსეთისა და საქართველოსი; 5) თეთრი დროშა ორ-თავიან არწივითა, შუა გულში რუსეთის გერბი ჰქონდა; 6) სამეფო ტახტი შვინდის ფერის ხავერდით გადაკრული, პრტყელის ოქრომკედის არშიებითა და ოქრომკედისვე დიდრონ ფოჩებით მორთული, და ამისთანავე სამი ბალიში; შუა გული ტახტისა ეკირა საქართველოს გერბსა და აქედ იქიდამ რუსეთის გერბს; 7) ტახტთან ერთად ორი პატარა სტოლი ხავერდითვე გადაკრული და ოქრომკედით მორთული, თვითოეულ სტოლისათვის თვითო ბალიში, რომელთზედაც დადებულ უნდა ყოფილიყო სამეფო ნიშნები: ერთზე გვირგვინი და სკიპტრა, მეორეზე ხმალი და უმაღლესი გრამოტა; 8) სამი ორდენი, ალმასებით შემკული, ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ქურთა, (გორის მაზრა). აქაურის ხალხის უმთავრესი სახსარი პურია. თუმცა წრეულს აქაც მოვიდა სეტყვა, მაგრამ განადგურებისაგან მაინც გადარჩა. შეგვიძლიან ვთქვათ, რომ წრევანდელი მოსავალი წინა წლებისას არაფრით არ ჩამორჩება. პურის გაყიდვა აქ ჩვეულებად არა აქვთ და ბაზარში არ გამოაქვთ, ხოლო ქერსა და სიმინდს ადგილობრივ მთის ოსები ჰყიდულობენ. რაც შეეხება ხილს, ზოგს ცხინვალისა და გორის ბაზარში გააქვს და უმეტესობა-კი აქვე ჰყიდის. არ გაივლის ისეთი შემოდგომა, რომ აქ ჩარჩი სომხები და ურიები არ გაჩნდენ, რომლებიც ჰყიდულობენ ხილს და, რასაკვირველია, ატყუებენ კიდეც ანგარიშში გაუწვრთნელ გლეხს.

სკოლა, ჩვენდა სამწუხაროდ, აქ არ არსებობს. ეს ორი წელიწადია, რაც ლაპარაკობენ სკოლის დაარსების შესახებ, მაგრამ ჯერ არა მოხერხდა-რა. თავოსნობას ამ საქმეში არავინა ჰკისრულობს და ისე რა გაკეთდება. ფრიად სამწუხაროა ეს ნაკლულევანება, მით უმეტეს, რომ ნახევარ რიცხვს მცხოვრებლებისას თავადიშვილები (მაჩაბლები) შეადგენს. აქ აშენებულია საყდარი წმ. გიორგის სახელობაზედ, რომელიც ამ ჟამად გაუქმებულია. ამ ერთის თვის წინად აქა ჰბრძანდებოდა ყოვლად სამღვდელო ალავერდის ეპისკოპოსი კირიონი და გასინჯა დარღვეული და დამველებული ეკლესია.

ამას წინად ამ სოფელს ეწვია ერთი ნარელი კაცი, რომელიც აქაურ გლეხის ოჯახს შეეხიზნა და რომელიც ჩუმად მკითხაობდა და ექიმბაშობდა. მაგრამ იმან დიდი ხეირი ვერა ნახა აქ, რადგან ქურთლებს საკუთარი მკითხავები ჰყავთ, იმაზედ უკეთესები, და კუდ-ამოძუებული გაიპარა.

ს. ბასიშვილი

დამაკვირდი

დედაკაცს ბედნიერებისათვის სამნი სჭირიან: 1) საყვარელი, რომელიც თითონ ეყვარება — ლამაზი ვაჟკაცი; 2) თაყვანის-მცემელი, რომელსაც იგი ეყვარება და გაართობს—ჭკვიანი მამაკაცი, და 3) ქმარი—სულელი კაცი.

საფირი

* * *

ვინ აღაშენა ეს მძლიერნი ციხე-კოშკნი. ცისა მიმართ აწვდილნი ტაძარ-გოდოლნი?—მკლავმა მძლიერმა, ჭკუამ აღმატებულმა, სიყვარულმა თავისუფლებისამ.

ლასურიძე

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ბერლინელი პროფესორი როზენბახი ამტკიცებს, რომ პირბადეს (ვუალი) ხმარება მეტად მავნებელიაო. ამ პროფესორთან ხშირად მიდიოდნენ თურმე ქალები ძალზედ გაწითლებულის ცხვირისა და სახის სხვა ნაწილების სამკურნალოდ. უმეტეს ნაწილად ქალები ცხვირისა და სახის სიწითლეს სიცივეს აბრალებდნენ ხოლმე, მაგრამ პროფესორმა აღმოაჩინა, რომ მიზეზი სიცივე-კი არა, პირბადე ყოფილა. თუმცა პირბადეს მეტად რბილის მატერიისას ამზადებენ, მაგრამ იგი მაინც საკმაოდ ეხახუნება ცხვირისა და სახის სხვა ნაწილების მეტად ნაზს კანს და ქრონიკულ სიწითლეს იწვევს. ეს კიდევ არაფერი. პროფესორი როზენბახი იმასაც ამტკიცებს, რომ ხშირი ხმარება პირბადესი თვით ცხვირის ფორმასაც-კი სცვლისო. მწვეტიან ცხვირს, მაგალითად, პირბადეს ხშირის ხმარებისაგან სიმწვეტე ეკარგება და მორგვალებული ხდებაო.

* * *

როგორც სტატისტიკურის ცნობებიდგანა სჩანს, 1887-დგან 1896 წლამდე რუსეთიდგან სხვა ქვეყნებში გადასახლებულა სულ ნახევარ მილიონზედ მეტი სული, ესე იგი წელიწადში 50000 კაცამდე. აქედგან ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლებულა 456,671 კაცი, კანადასა და ინგლისის სხვა ახალშენებში—9,845 კაცი, ბრაზილიაში—40,731 კაცი, არგენტინის რესპუბლიკაში—9,552 კაცი, აფრიკაში—4,489 კაცი, აზიაში—51 კაცი და ავსტრალიაში—367, სულ—521,706 კაცი. ამ გარდასახლებულთა უმრავლესობას პოლონელნი, ლიტოველნი და ებრაელნი შეადგენენ.

* * *

ამ ოც-და-ათის წლის წინად ევროპიდგან გადასახლებულთ ავსტრალიაში ჩაიყვანეს გაშინაურებული კურდღლები. ავსტრალიაში ეს კურდღლები საოცრად გამრავლდნენ, ბევრი მათგანი მინდორ-ტყეში გავარდა და გაგარეულდა. მალე ეს გარეული კურდღლები ისე გამრავლდნენ, რომ ნამდვილ ჭირად გადაიქცნენ ბაღებისა, ყანებისა და საზოგადოდ ნათესისათვის. ასე გასინჯეთ, კურდღლების ამოსაწყვეტად პრემიაც-კი დანიშნა მთავრობამ. მაგრამ ამითაც ვერაფერი გააწყეს და ამიტომ ამ ბოლოს დროს ავსტრალიელთ ნათესს წვეტიანი მავთულის ღობის შემოვლება დაუწყეს. ასეთ ღობეზედ კურდღელი ველარ გადადის თურმე. მთავრობამ 1,200 ვერსის სიგრძეზედ გამართა ასეთი ღობე, ხოლო კერძო კაცებმა 22,000 ვერსის სიგრძეზედ. დაჭერილ კურდღლების ხორცს ამარილებენ, ახმობენ, ბოჭკებში აწყობენ და ჩინეთსა და ავსტრალიის კუნძულებში გააქვთ. ამას გარდა აუარებელ დახოცილ კურდღელს მგლებს, მელებს, არწივებს, ყორნებს და ძაღლებს უტოვებენ მინდორსა და ტყეში საჭმელად. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, კურდღლების ამოწყვეტის საქმე მაინც უმთავრესი საკითხია ამ ჟამად ავსტრალიაში. ერთი ეკონომისტი ურჩევს მთავრობას, რაც შეიძლება მეტი ხალხი მიიწვიეთ და დაასახლეთ იმ ადგილებში, სადაც მრავლად არიან კურდღლები, იმის სიტყვით, ისევ კაცი თუ ამოსწყვეტავს კურდღელს. საზოგადოდ, ავსტრალიაში ყოველ გვარი საქონელი და პირუტყვი ძალიან მრავლდება. როგორც ავსტრალიის სასტატისტიკო ბიუროს უკანასკნელ ანგარიშიდგანა სჩანს, მთელს ავსტრალიაში ამ ჟამად 120 მილიონი სული ცხვარია. ყოველ წელიწადს მარტო მატყლი ავსტრალიიდგან 21 მილიონი ფუთი გააქვთ, აქედგან რუსეთში 1,050,000 ფუთი მოაქვთ. ქონი გააქვთ 12 მილიონი ფუთი, აქედგან რუსეთში შემოდის 1,404,000 ფუთი.

მცირე შენიშვნა.

არ შეგვიძლიან უყურადღებოდ დავტოვოთ ის გარემოება, რომელიც დღეს ტფილისის სასამართლოების კარებთან ჰხდება. ვინც-კი დედ-მამას შემოსწყრომია, აუღია თავი და სასამართლოს კარებთან დამდგარა, ეგებ შემხვდეს ვინმე და ბუმბულიანად გავბტყვნაო. ამათ უფრო ხშირად შეხვდებით ოლქის სასამართლოსთან, სადაც ეს ვაჟბატონები ბუზებივით ირევიან. დაინახავენ თუ არა სოფლელ კაცს, სასამართლოსკენ მიმავალს, მაშინვე შეაყენებენ და დაწვრილებით გამოჰკითხავენ გარემოებას. მის მაგიერ რომ უვიცს გლეხკაცს გზა და კვალი უჩვენონ, ისინი უფრო უხლართავენ გზებს და ეუბნებიან: შენ როდი შეგიშვებენ შენის საქმის გასაგებად, იქ შესვლის ნება მხოლოდ ჩვენა გვაქვსო. შემდეგ საწყლებს ართმევენ უკანასკნელს გროშს; იმათ გარეთ აყენებენ და თითონ-კი შედიან სასამართლოს შიგნით ვითომ საქმის შესატყობად, მაგრამ ისინი კიბესაც არ ასცილდებიან ხოლმე და რამდენისამე წუთის შემდეგ მხიარულის სახით ახარებენ გლეხს: შენი საქმე ძალიან კარგად არის, საჩუქარი შენზეაო. ამ გვარის ხრიკებით უმეცარ ხალხს ხშირად ცარიელ-ტარიელს ისტუმრებენ ცოლ-შვილისაკენ.

ოლქის სასამართლოს მახლობლად არის ერთი დუქანი, რომელიც უფრო ამ „აბლაკატების" კანცელარიას წარმოადგენს, ვიდრე მეწვრილმანის დუქანს. ამ დუქანში იკრიბებიან ეს ვაჟბატონები; ყველა თავიანთ საქმეს აქ არჩევენ, რასაკვირველია, არც თვით მეწვრილმანე რჩება დაუჯილდოვებლად.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 ნოემბერი

პეტერბურგი. 22 ნოემბერს ხელმწიფე იმპერატორი და დედოფალი იმპერატრიცა უავგუსტოესის შვილებითურთ ცარსკოე სელოდგან გატჩინოში წაბრძანდნენ.

კაპშტადტი. როგორც მასერიდგან იუწყებიან, ბურები აღიარებენ, რომ კიმბერლეისთან ისინი დიდად დაზარალდნენ. მასერიდგანვე იუწყებიან, რომ მეფკინგის გარემოცვა შესწყდა.

ლონდონი. პრეტორიიდგან მიღებულს დელარეის მოხსენებაში ნათქვამია, რომ დილით, 16 ნოემბერს, მის ჯარს მდ. მოდერზედ, კიმბერლეიდგან 25 მილის მანძილზედ, თავს დაესხა მტრის აუარებელი ჯარი. ცხარე ომი ასტყდა, რომელმაც 12 საათს გასტანა. დელარეი ამასთან იუწყება, რომ მის ჯარში მოკლულ იქმნა და დაიჭრა 17 კაცი, მათ შორის მისი უფროსი შვილიც. ბინდისას ბურებმა, რომელთაც ინგლისელებს გზა შეუკრეს კიმბერლეისკენ, ნელ-ნელა უკან დაიწიეს.

ვაშინგტონი. მაკ-კინლეის ეპისტოლეში, სხვათა შორის, აღნიშნულია, რომ ამერიკას მეგობრული განწყობილება აქვს ინგლისთან და ნეიტრალიტეტს იცავს ტრანსვაალის ომის საქმეში.

ლონდონი. მოდერ-რივერიდგან იუწყებიან, რომ ბურებს მოდერ-რივერიდგან 6 მილის მანძილზედ მარჯვე ადგილები უჭერიათ სერზედ.

ალდერშოტიდგან იუწყებიან, რომ მეშვიდე დივიზიის შედგენა, რომე-

წმიდა მოციქულის ანდრია პირველწოდებულისა მეფე გიორგისათვის, მეორე დიდ-წამებულის ეკატერინესი—დედოფალ მარიამისათვის და წმიდა ანნას პირველ ხარისხისა—მემკვიდრე დავით ბატონიშვილისათვის.

ყოველ ამას გარდა იმპერატორმა პავლემ გამოუგზავნა კავალენსკის ხელითვე ძვირფასი ნივთები მარიამ დედოფალსა, ბატონიშვილებსა, კარის ეკლესიის მღვდელს, სიძეს მეფისას, მუხრან-ბატონს და სიმამრს მეფისას ღ. ციციშვილს.

მეჩვიდმეტე ეგერის პოლკი ლაზარევისა ბრძანებისამებრ მზად იყო საქართველოში წამოსასვლელად, თან უნდა გამოჰყოლოდა თვით კავალენსკიცა, რომელსაც უნდა წამოეღო პავლე იმპერატორის მიერ გამოტანებული ნივთები. დასასრულ 19 ოქტომბერს 1799 წელს კნორრინგმა კვლავ ინახულა ხსენებული პოლკი, კმაყოფილი დარჩა და მეორეს დღისათვის ბძანება მისცა გასულიყო თერგსა და გზას შესდგომოდა. მეორე დღეს ბძანებისამებრ პოლკი თავისის ადგილიდამ დაიძრა, გამოვიდა თერგს და წამოვიდა ტფილისისაკენ. კნორრინგმა მისცა დარიგება ლაზარევს როგორ უნდა მოიქცეს და, სხვათა შორის, აუწყა უმაღლესი ბძანება: „ლაზარევის პოლკი მივა თუ არა ტფილისში, მეფე გიორგის იმისთანა პატივით უნდა შეეგებოს, როგორც წესდებით მე, იმპერატორს, მეკუთვნის, იმავე წესით სახელის მცველნი დაუყენოს. მეფის გვირგვინის კურთხევის დღეს პოლკი საპარადოდ განწყობილ იქმნას და ბატალიონებად დამწკრივებულ. როცა მეფე გიორგი შევა ეკლესიაში და გამოვა, ჯარმა შესაფერი პატივი მისცეს".

დიდი წვალება გამოიარა რუსის ჯარმა, რაკი კავკასიის მთებში შემოსდგა ფეხი. ვიწრო აღმართ-დაღმართები, თოვლი და ყინვა, გაფუჭებული გზები, ზოგან სურსათის ნაკლებობა,—ყოველივე ეს ერთად აბრკოლებდა ჯარს. ზარბაზნები და სხვა არტილერიის კუთვნილებანი ზოგან ხელდახელ და ზურგით გადმოჰქონდათ ჯარის-კაცებს, რადგანაც სხვა ნაირად ვერა ხერხდებოდა. როგორც იყო ჯარმა ყოველს დაბრკოლებას სძლია, გადმოიარა მთები და გადმოხედა არაგვის ხეობის დაბლობებს. აქ ჯარს მიეგება ბატონიშვილი ვახტანგ, მიაგება ოთხმოცი უღელი ხარ-კამეჩი, გამომცხვარი პური და სხვა სურსათი, ტფილისამდე გზა და გზა სხვა და სხვა ადგილას ორმოც და ათ-ათი საპალნის საზიდი ცხენი მოუმზადა. ამ სახით იარა ჯარმა მთელი თვე და ექვსი დღე და როგორც იყო მოუახლოვდა ტფილისსა. ტფილისი დიდის ყოფით მოიკაზმა და მოირთო ჯარის დასახვედრად და მისაღებად. ჯარს მოელოდნენ ტფილისში 26 ნოემბერს. მთელი ქალაქი აიშალა და გარეუბანს და ვერაზედ გავიდა და აქ ელოდებოდა ჯარის მოსვლას.

მეფე გიორგიც გაეგება თავისის ამალით. თან ახლდნენ მემკვიდრე დავით ბატონიშვილი, სხვა ბატონიშვილები, გამოჩენილნი მოხელენი საერონი და სამღვდელოებისანი და მთელი დიდ-კაცობა ტფილისისა. ქალაქის ბანები მოიჭედა დიდითა და პატარითა, ქალითა და კაცითა და მოუთმენლად ელოდებოდნენ ჯარსა, ვითარცა ქვეყნის მხსნელსა, მშვიდობიანობისა და მოსვენების მომავლინებელსა.

ბოლოს მოვიდა ჯარიცა. მეფე გიორგი თვითონ წამოუძღვა წინ და შემოიყვანა ტფილისში. სიხარულის კიჟინა ხალხისა, ზარბაზნის სროლა, ზარების რეკა ერთს დიდს ყოფას და ამბავს წარმოადგენდა. კავალენსკიმ ამ რიგად აუწყა კნორრინგს რუსის ჯარის შემოსვლა ტფილისში: „ჯარი, დასასრულ, მოვიდა ტფილისს, მოსვლისას იგი წარმოადგენდა სასიამოვნო სანახავსა თავისის წყობითა და წეს-რიგიანობითა, სამის ვერსტის მანძილზე დიდის ყოფით მოეგებნენ ჯარს იმ წესით, როგორაც წინადვე დავაწყეთ მისმა უმაღლესობამ მეფე გიორგიმ და მე. მეფე მთელის თავისის წარჩინებულ საერო და სამღვდელო დიდ-კაცობით მიეგება ჯარს. სახლის ბანები სულ მთლად სავსე იყო თეთრ-ჩადრიან ქალებითა, კაცს ეგონებოდა მთელ ქალაქში მოფენილია კარვები ბანაკისაო. ზარბაზნის სროლა, ზარების რეკა ამ დღესასწაულს აძლიერებდა და სიხარულის კიჟინა ერისა, მოძრაობა და თვით ცრემლნი, ნამეტნავად დედაკაცობისა აგვირგვინებდა ამ ტკბილად საგრძნობელ სურათსა და უტყუარს ერთგულებას ჩვენდამი ერისას".

მეფე გიორგიმ, გახარებულმა რომ სასურველი აუსრულდა, ყოველივე ღონისძიება იხმარა, რომ ჯარი კარგად დაებინავებინა და სურსათი საკმაო და რიგიანი ჰქონოდა. შემოსვლის მეორეს დღესვე ჯარს გაუგზავნა ხუთ საპალნემდე ღვინო და რვაასი ცალი ხმელი თევზი, გარდა იმისა, რაც ულუფად განწესებული იყო. აფიცრებს სადგომად თავისი სასახლე უთავაზა, ხოლო აფიცრებმა არ ინდომეს მეფის შეწუხება და დიდი მადლობა გადაუხადეს ამისთანა გულ მტკივნეულ თავაზიანობისათვის.

ესე შემოვიდა რუსის ჯარი ტფილისში. ამ დიდის ყოფით და ამბით დახვდა რუსეთის ჯარს მეფე და ერი. სასოწარკვეთილმა მეფემ და ერმა ძლივს ნუგეშითა და იმედით გაიცოცხლა გული. მეფის კარიდამ დაწყებული უკანასკნელ ქოხამდე სიხარულმა გაშალა თვისი სანატრელი ფრთა, სიხარულმა ხსნისამ და ნუგეშისამ. დიდი ხანია საქართველოს ამისთანა ბრწყინვალე დღე აღარ ენახა. ყველას დიდიდამ პატარამდე, ქალათ კაცამდე გული აევსო იმ სანატრელი იმედითა, რომ რუსის მხედრობის დაბინავება საქართველოში საქართველოს მოუვლენს იმ მშვიდობიანობას, იმ მოსვენებას, იმ პატრონობასა და მფარველობას, იმ ბედნიერად და უტკივარად შინაურ ცხოვრებას, რომელთათვისაც ამდენს საუკუნოების განმავლობაში ასე თავ-გამეტებით, ასე თავ-დადებით იბრძოდა საქართველოს შვილი და თავისის სისხლით ჰრწყავდა ყოველს კუთხეს თავისის ქვეყნისას. ამ ღირსსახსოვარ დღიდამ საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა, შიში მტრისა ერთ-მორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდის ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე, გაქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა, რბევა და აკლება მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრად და დაგვრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა სისხლ-დანთხეულ და ქრისტეს ჯვარისათვის ჯვარცმულ საქართველოს, რომელიც ღმერთმა სააქაო სამოთხედ გაუჩინა ადამიანს და კინაღამ ერთ დიდ სასაფლაოდ არ გადაექცა მისს თავდადებულ შვილებს, რომელნიც უმწედ, უნუგეშ, ყველასაგან შორს, მარტოდ-მარტო იხოცებოდნენ ქრისტეს სარწმუნოებისა სადიდებლად და თავისის ვინაობის გადასარჩენად. დაიდვა საზღვარი მშვიდობის მყოფელ ცხოვრებისა. ის დღეა და ეს დღე ველარავინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში და 26 ნოემბერს 1799 წ. კვლავ სასოება-გაღვიძებული მეფე და ერი გულწრფელად მიენდო თავისს მომავალსა, დიდის რუსეთის იმპერატორების მფარველობის იმედითა და ნუგეშინით ფრთა-შესხმული.

დღეს, 26 ნოემბერს 1899 წ., სწორედ ასი წელიწადია მას აქედ.

ილია ჭავჭავაძე

ლიც აფრიკაში უნდა გაიგზავნოს, შესაძლებელია.

ვენა. ავსტრიის დელეგაციის საბიუჯეტო კომისიაში გოლუხოვსკიმ უარ-ჰყო, ვითომ მილანი ავსტრიის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა; ეს ზღაპარია, რომელსაც ბოლო უნდა მოეღოსო.

25 ნოემბერი

ლედი-სმიტი. ტრანსვაალისა და ორანჟის ბურებს შორის განხეთქილება ჩამოვარდა. ლედი-სმიტის გარშემო ამ ჟამად 26 ზარბაზანი სდგას, რომელთაგან ქალაქს ნაკლები ზარალი აქვს. როგორც ისმის, ბურებს ძლიერ გაუმაგრებიათ რედუტებით მაღლობები ლედი-სმიტისა და კოლენზოს შუა.

ლონდონი. ლედი-სმიტის მთავარ ბანაკიდგან იუწყებიან, რომ ბურების ჯარი უახლოვდება ქალაქს. სამი დიდი ზარბაზანი ახალ ადგილებზედ დადგეს და ასტეხეს სროლა, რომელმაც გასტანა დილის 4 საათიდგან 6-მდე.

ბერლინი. ლონდონიდგან იუწყებიან, რომ 17 ნოემბერს მეფეკინგი დაეცა.

კუინსტუნი. (კაპის ახალშენი). დეპეშების გზავნა და მიმოსვლა დორდრესტსა, სტეინბურგსა და მარიცბურგს შუა შეწყვეტილია: როგორც ისმის, სტეინბურგი ბურებს დაუჭერიათ.

ლონდონი. ლედი-სმიტიდგან შემდეგი დეპეშა მოვიდა: „18 ნოემბერს ქალაქი დიდ განსაცდელში იყო ყუმბარების დაშენისაგან, ასეთ საშიშ მდგომარეობაში იგი ჯერ არ ყოფილა; ჩვენი კარვები მთლად დაილეწა. ხალხი მეტად აღელვებულია.

პრეტორია. ლორენცო-მარკეზიდგან იუწყებიან, რომ ჟუბერი ავადმყოფი მოვიდა ფოლკსრუტში. მის დაბრუნებამდე ჯარის უფროსობას იკისრებს შალკბურგერი.

ლონდონი. კიმბერლეიდგან დეპეშა იუწყება, რომ 16 ნოემბერს მოკლულ იქმნა 2 აფიცერი, დაიჭრა 4, ხოლო ჯარის-კაცთა შორის მოკლულ იქმნა 20 და დაიჭრა 28.

პუტერსკლააიიდგან დეპეშამ ამბავი მოიტანა, რომ 20 ნოემბერს ბურები დორდრეხტში შევიდნენ.

„Times“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა: „მტერი ყუმბარებს უშენს ქალაქის სუსტ ადგილებს. ყუმბარები ყველაფერს აოხრებენ“...

◆

განცხადებანი

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე
კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი—9—10 საათ.

დ. ქ. ერისთავი—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^{1}/_{2}$—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 12—1 საათ.

იაზ. ქ. ადამიანი—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.

ნ. ზ. უმიკოვი.—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

მ. ლ. მარქევიჩი—$12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$ სადოსტაქრო.

ი. დ. გეგთაგეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^{1}/_{2}$—2 საათ.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

ქ. ი. გძელიშვილი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

საღამოთი:

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ს. ი. ვაწაძე.—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. ბურკო. $1^{1}/_{2}$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ.

ა. ნ. შაპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

გ. ა. ნავასარდიანი. 7—$7^{1}/_{2}$ საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ლ. ტ. არჯანიტაკი—ვაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ).

ექიმი
კ. ს. გძელიშვილი

მიიღებს
ყელისა, ცხვირისა და ყურით
ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки.
(100—31—45)

თეატრი-ცირკი ძმ. ნიკიტინებისა

პროფესორი მაგიისა კარიდი, რომელიც ღირს-ყოფილ იქმნა წარმოდგენა გაემართა მათ იმპერატორებათ უმაღლესობათა წინაშე ლივადიის სასახლეში 9 სექტემბერს 1898 წლისას, პარასკევს, 26 ნოემბერს, გამართავს წარმოდგენას მეორედ სრულიად ახალის პროგრამით.

დაწვრილებით აფიშებში იქნება გამოცხადებული.

(2—190—1)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ.—3 მან. და 1 მ. 50 კაპ.

ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

„კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარ კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ქილა—2 მან., პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—150—44)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1899 წლის 1 დეკემბერს **მოხდება საჯარო ვაჭრობა** იჯარით გასაცემად კუკიისა და ავლაბრის იმ აგარაკებისა, რომელნიც ქალაქს ეკუთვნის: სახნავ, სათივარ და სხვაგვარ მეურნეობისათვის გამოსაყენებელ მიწებისა; ზომით კუკიისა 888 დეს. 1,800 ოთხ-კუთხ. საჟ. ავლაბრისა—1829 დეს. 460 ოთხ-კუთხი საჟ. პირობების გასინჯვა გამგეობის კანცელარიაში შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 10-დგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

(3—ნ.—3)

აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა იყიდება **ქუთაისში**—წერეთლის წიგნის მაღაზიაში; **ყვირილაში**—ილია მაღლაკელიძის მაღაზიაში; **ბათუმში**—მაქსიმე კიკვაძის მაღაზიაში (სასტუმრო „საფრანგეთის“ პირდაპირ); **სამტრედიაში**—ქალთა დანელიების სამკერვალოში და სოფ. **ქუხში**—თითონ ამხანაგობის ქსოვილების სახელოსნოში.

(50—ნ.—45) ნ. წერეთელი

მოვიწვევ მსურველებს ახლად შედგენილ ქართულ საეკლესიო მგალობელთა გუნდში მონაწილეობის მისაღებად გალობის დროს; მოწონებულ მგალობელს დაენიშნება ჯამაგირი. პირობების შეტყობა შეიძლება ჩემთან.

ადრესი: ელისაბედის ქუჩა, სახლი № 5.

გამგე—ლოტბარი გუნდისა ალექსანდრე
(6—უ.—5) გრიგოლის ძე კავსაძე.

გამოვიდა ახალი წიგნი **მ. ჯანაშვილისა**
„Грузинскія обители внѣ Грузіи“.
ფ. 25 კ.
და მისივე **ИСТОРІЯ Груз. церкви.** ფასი 40 კ.
იყიდება წ. კ. ს. მაღაზიაში.
(7—უ.—4)

წერა-კითხვის გამავრ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

Древній Анчисхатскій соборъ П. Карбелова—20 კ.

გრამატიკა თ. ჟორდანიასი—55 კ.

Новая постановка педагог. дѣла въ учеб. завѣд. И. Ростомова. 20 კ.

საგალობელნი შობის დღესასწაულისა—25 კ.

საერო დღესასწაული—25 კ.

ჩართული ანბანი, გრ. ტატიშვილისა 1 მ.

კანვაზედ საკერი ანბანი მისივე 40 კ.

საყმაწვილო მოთხრობანი, ეკ. გაბაშვილისა 30 კ.

პატარა ლორდის თავ-გადასავალი 30 კ.

ვეფხვის ტყაოსანი სურათებით 30 კ.

ნიკოლოზ ნიკოლაძე 20 კ.

გლეხი კაცის ისტორია I, II, III და IV ნაწილი 2 მ. 40 კ.

კორიოლანოს შექსპირისა, თარგმანი ივ. მაჩაბლისა 30 კ.

ანტონიოს და კლეოპატრა, მისი თარგმანი 30.

ქართული თეატრი

კვირას, 28 ნოემბერს,
ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება კ. ყიფიანის მონაწილეობით

I

და-ძმა

დრამა 5 მოქ. ვ. გუნიასი.

II

ქ-ნ ტასო აბაშიძის მონაწილეობით

ბარაქალა მასწავლებელო!

ვოდ. 1 მოქმ., თარგ. მ. მ. საფაროვ-აბაშიძის მიერ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზე
რეჟისორნი **მ. აბაშიძე** და **ქ. მესხი**

იყიდება

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიასა და „ივერიის“ რედაქციაში

„სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“,

წერილი ილია ჭავჭავაძისა, **მეორედ** გამოცემული „ივერიის“ რედაქციის მიერ, რადგან პირველი გამოცემა სრულიად გაიყიდა. ეს გამოცემა ძვირფასს ქაღალდზეა დაბეჭდილი. ჰღირს წიგნი ექვს შაურად.

ქ. ქუთაისში
ექიმი გაბრ. იოს.
გოკიელოვი

იღებს ავადმყოფებს დილ. 9—12 ს., საღამ. 5—7 საათ.
ტფილისის ქუჩა, ლევან ქურთოშვილის სახლი, № 20.
(40—140—22)

Дозволено цензурою, Тифлисъ 25 Ноября 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე